

უშია ავრიონიძე

**მიჯნა-საზღვრების ნომინალტურა და მორფინტიკაზელი  
ელემენტები ქართულ ტოპონიმიკაში**

ისტორიული გეოგრაფიის ცნებათა განსაზღვრისას ერთ-ერთ კარდინალურ საკითხს წარმოადგენს **საზღვრის, საზღვრების** საკითხი.

საგანგებო ყურადღებას იპყრობს ამ ლექსემის ცნებით შინაარსის დიფერენცირება მომიჯნავე მნიშვნელობის სიტყვებისაგან. მხედველობაში გვაქვს ნ. ბერძენიშვილის მსჯელობა ავტორის ფუნდამენტურ ნაშრომში, რომელიც მთლიანად ეძღვნება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს [ბერძენიშვილი 1975, 85-133; იხ. აგრეთვე მუსხელიშვილი 1980, 140-144], სათანადო ლექსიკა კი დაიძებნა ისტორიულ წყაროებში და, პირველ ყოვლისა, „ქართლის ცხოვრებაში“. ჩვენი მსჯელობაც ძირითადად ამ წყაროს ეყრდნობა.

საკითხის სპეციალური განხილვა საჭირო ჩანს სხვადასხვა მოსაზრებით: საზღვრების აღმნიშვნელი სიტყვები ფართოდაა გავრცელებული საერთოდ ენაში. მდიდარი დერივაციული წარმოების მეშვეობით მათ ფესვი გაიდგეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილში — როგორც სახელებში, ასევე ზმნებში და მათგან ნაწარმოებ მასდარებსა და მიმღეობებში. არანაკლებ საყურადღებოა სათანადო ლექსემები ეტიმოლოგიური კავშირებისა და ტიპოლოგიური თვალთახედვითაც. დასასრულ, შესაბამისი აპელატივები ასახვას პოვენს ტოპონიმიურ მასალაში, რაც ონომასტიკური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ნ. ბერძენიშვილის ხსენებული ნაშრომი, რომელიც სტილით თუ არა, თავისი ინფორმაციული ხასიათითა და თვით ინფორმაციის მოწოდების რიგითობით და ფუნქციონალური დანიშნულებითაც სახელმძღვანელოს მოგვაგონებს. აქ ყურადღებას იპყრობს მომიჯნავე ცნებების დეფინიცია-დიფერენცირება. კერძოდ, **ქვეყანა** (მისი ტერიტორიითურთ) და **საზღვარი** (საზღვრები) ამ ნაშრომში მონათესავე ცნებებად გვევლინება, ოღონდ ისინი იმით სხვაობენ, რომ **ქვეყნის** ცნება აუცილებლობით არ გულისხმობს მასში (ყოველ შემთხვევაში სათანადო სახელით ნომინირებულ მთელ ტერიტორიაზე) მკვიდრთა ყოფნას, მაშინ როცა **საზღვარი** აუცილებლად გულისხმობს საკუთრებას, კერძოდ, მის (მათს) ვისიმე კუთვნილებაში ყოფნას. ამ მხრივ შემთხვევითი არ არის, რომ სინონიმად მას **საბრძანისიც** ენაცვლება: **რისამე საზღვრები ვისიმე საბრძანისი, საბრძანებელია**. გავიხსენოთ სათანადო ლათინური ტერმინები **იმპერია** და **იმპერატორი**, რომლებიც ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც ქართული **საბრძანისი** და **მბრძანებელი** (აღმოსავლეთის ქვეყნებში ხომ ტრადიციულად ამ სიტყვით (**მბრძანებელი!**) მიმართავდნენ ერთმმართველ დიქტატორს, **დიქტატორი** კი ეტიმოლოგიურად **მბრძანებელს** უკავშირდება).

მაგრამ მივუბრუნდეთ ტერმინებს. ძირი **ზღ(უ)** ძირი იძლევა რამდენიმე სიტყვას — როგორც სახელადს, ისე ზმნურს ან ნაზმნარს: **ზღვარი, საზღვარი(ნი), სამზღვრული, მზღვრის**.

ქართული წყაროები, კერძოდ, ის თავები, რომლებშიც ესა თუ ის ქვეყანა ან მისი ნაწილია აღწერილი, ჩვეულებრივ, საზღვრების ჩამოთვლით იწყება. თვით **საზღვრის** ცნება სხვადასხვა ფორმით არის გადმოცემული. ვახუშტი ბატონიშვილის კაპიტალური შრომის — „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ [ქვემოთ: ქც, IV] — პირველსავე თავში („ნათესავთ აღწერისა და წილთათვის“) ვკითხულობთ:

„მაშინ თარგამოსს წილად ზუდა ქუეყანა ესე სამზღვრული: აღმოსავლით ზღუა გურგანისა, დასავლით ზღუა პონტოსი, სამჯრით მთა ორეთისა გინა ქურთისა, ჩდილოდ მთა კავკასისა...“ (ქც, IV, 47, 9-11);

ჰაოსს მისცა აღმოსავლით საზღვარი ზღუა კასპიისა, სამჯრით მთა ორეთისა...“ (იქვე, 23-4).

ნიმუშები იმდენია, რომ მათი გამრავლების საჭიროება არა ჩანს, მაგრამ შევჩერდებით ზოგიერთ საინტერესო შემთხვევაზე.

„...კავკასოს წილი არს: კავკასიის მთის ჩრდილოდ კერძი, ლეკანის საზღვრიდან ვიდრე ზღუადმდე პონტოსი ანუ შავისა“ (იქვე, 49, 14-5).

ზემოთ მოყვანილ მაგალითში ზღვა და საზღვარი ერთნაირად იხმარება საკუთარ სახელთა მსაზღვრელებად და, ამასთან, ქმნის აზრობრივ წყვილსაც გამოსვლითი და მიწვევითი ფორმების ლოგიკური თანამიმდევრობით:

„საზღვრიდან ვიდრე ზღუადმდე“: მიმართულება **-დან > -მდე**, შუალედური **ვიდრე-ს** ჩათვლით თუ უიმისოდ, ერთი ფუნქციონალური სიბრტყის ტოლფასი წევრებია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი წევრი — საზღვრიდან — აპელატივადაა ნახმარი, მეორე კი — ზღუადმდე — მაკროპირონიმის (**პონტოს ზღვა // შავი ზღვა**) კომპონენტია.

ზღვისა და საზღვრის ეტიმოლოგიური დაკავშირება ამ სტრიქონების აგტორს არ ეკუთვნის, თუმცა მისთვისაც გასაზიარებელი იქნებოდა ასეთი დაკავშირების იდეა. იგი თითქმის რიტორიკული კითხვის სახით არის წარმოდგენილი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ [კლიმოვი 1964].

აქ არ ვეხებით მონათესავე ქართველურ ენათა უტყუარ მონაცემებს ფონეტიკური შესატყვისობების შესახებ. ამ შემთხვევაში საინტერესოა უკვე ჩამოყალიბებული ქართული სიტყვა-ფორმების სემანტიკური კავშირები და ტიპოლოგიური პარალელები, რომლებსაც გვიჩვენებს ზოგიერთი სხვა, ამასთან, არამონათესავე ენა.

\* \* \*

კავკასიის, კერძოდ, საქართველოს სიგრძივი განფენილობა ჰორიზონტალურ, დასავლეთიდან აღმოსავლეთით (და არა ჩრდილოეთიდან სამხრეთით) გადაჭიმულ სივრცეს გულისხმობს. აკი საქართველოს მდებარეობის აღსანიშნავად ორიენტაციისათვის ყველაზე უკეთ მიმანიშნებელი ორი განსაზღვრა — **ორ ზღვას შუა**, ანდა **ნიკოფსიდან დარუბანდამდის** — პოპულარულ გამოთქმებად იქცა და ქართულ პოეზიაშიც (გალაკტიონ ტაბიძე, ანა კალანდაძე) ბუნებრივად დამკვიდრდა.

ჩვეულებრივ, საზღვრები ქვეყნებს შორის ან ქვეყნის შიგნით ეთნოლინგვისტური საზღვრები, როგორც წესი, ემთხვევა ბუნებრივ საზღვრებს: ოროგრაფიულსა თუ ჰიდროგრაფიულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებრივ ბარიერებს ქმნიან მთები (ქედი, ვორი...) და წყლები (ზღვა, ტბა, მდინარე...). შემთხვევითი არ არის ერთ-ერთი თავის დასათაურება ვახუშტი ბატონიშვილის იმავე ნაშრომში: „**საზღვრით, მთით, მდინარეებით** და ადგილთა და მას შინა შენებულებათა“. შიგ ტექსტში კი პირველი სტრიქონებიდანვე ვკითხულობთ: „ხოლო აწ ვინაფთვან **საზღვარი** ქართლისა ბერდუჯის **მდინარე** არს, ვიწყით მუნითვან წერად“.

ასე რომ, **ზღვისა** და **საზღვრის** მარტივ ფონეტიკურ მსგავსებას ამ სიტყვების ფუნქციურ დანიშნულებათა სიახლოვე და ლოგიკურ-სემანტიკური კავშირი განამტკიცებს<sup>1</sup>.

ამ კონტექსტში ზედმეტი არ უნდა იყოს დამატებით საბუთად მოვიყვანოთ მდინარე **რუბიკონის**<sup>2</sup> სავარაუდო ეტიმოლოგიური მიმართება რუსულ აპელატივთან „**рубеня**“. ეს სიტყვა რუსული ენის აკადემიურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც რისამე პირობითი გამმიჯვნილი ხაზი, საზღვარი („условная линия, черта разграничивающая что-л., граница,,“).

ასეთივე კავშირი შეიძლება დაიძებნოს საზღვრისა და მსხვილი ოროგრაფიული ობიექტის სახელწოდებებს შორისაც. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ძველი ბერძნული ენა, რომელშიც მიჯნა-საზღვრის აღმნიშვნელია ტერმინი **ოროს** (ὄρος), რომლისგანაც მიიღება ტერმინები **ოროგრაფია** (მთების შემსწავლელი დარგი) და **ორონიმია** (მთების სახელთა ერთობლიობა). ქართულ მასალაში მსგავსი ერთეულების მარჯვე მაგალითია **ხევი**, რომელიც ერთდროულად ოროგრაფიული ობიექტიცაა და ჰიდროგრაფიულიც (და მისგან არის მიღებული **ხეობაც**). რაც მთავარია, იგი, როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში იქცა სოციალური სტატუსის მქონე ერთეულად (**ხევისთავის** ინსტიტუტი) და ამის თავდაპირველი მიზეზი ის იზოლირებულობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც სწორედ ბუნებრივი ბარიერებით შემოზღუდვა განაპირობებდა [ბერძენიშვილი 61-76].

აპელატივებისაგან ტოპონიმების მომდინარეობის ტიპოლოგიიდან გამომდინარე, რუსულ მიკროტოპონიმიაში დადასტურებული მიჯნა-საზღვრის აღმნიშვნელი რამდენიმე სახელი — **Грань, Границы, Межа** [კუპჩინსკი 1970, 126], აგრეთვე **რუბეენოე** (ქალაქი უკრაინაში) — საზღვრის (**граница**) აღმნიშვნელი აპელატივებია, რომელთაგან ზოგიერთი ეტიმოლოგიურად უკავშირდება შემოზღუდული ხელოვნური ობიექტების სახელწოდებებს. იხ.: **город** (**Новгород, Белгород, Ужгород...**); მისი ვარიანტული ფორმაა **огород** (შდრ. ქართული **ბოსტან-ქალაქი**, ამჟამინდელი რუსთავი), ხოლო გაცვეთილი ფორმა — **град** (შდრ. **Петроград, Ленинград, Сталинград, Зеленоград...**). აქედან-

<sup>1</sup> იხ. გ. კლიმოვის მიერ კითხვის ნიშნით მოწოდებული ვარაუდი ამ სიტყვების ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ: Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, М., 1964.

<sup>2</sup> ენციკლოპედიაში სიტყვა-სტატია **რუბიკონს** ახლავს დამატებითი განმარტება: „ძვ. წ. 42-მდე აქ გადიოდა **საზღვარი** (ხაზი ჩემია. შ.ა.) იტალიასა და რომის პროვინცია ციზალპურ გალიას შორის“ (ქსე, VIII, 1984, გვ. 464).

ვეა მიღებული თავდაცვითი ნაგებობის აღმნიშვნელი სიტყვა *ограда*, რომელიც ამჟამად განზოგადებული მნიშვნელობით იხმარება.

საზღვრების საკითხს ლოგიკურად ებმის — მეტადრე ისტორიულ ჭრილში — *ციხე-ქალაქების* საკითხს, ვინაიდან ისტორიულად დალაშქრულ — დაპყრობილ თუ ბრძოლა-ომით დაბრუნებულ — საზღვართა შენარჩუნება ხდებოდა *გამაგრებით*, რასაც შეეფარდა თვით ასაგები ობიექტების აღმნიშვნელი ტერმინი — *ციხისმაგრე*. ტოპონიმიში მრავლად დასტურდება ეს სათანადო ლექსემები — როგორც წმინდა ფუძის სახით (*ციხე*), ისე დერივატებით (*ციხია*, *ციხეები*, *ველისციხე*, *ციხისძირი*), მისი დიალექტური და მონათესავე ენებში არსებული შესატყვისები: *ჩიხა*, *ჯიხა* (*წალენჯიხა*, *ნოჯინევი*, *ჯიხაშკარი* და მისთ. ამ უკანასკნელის დერივაციის შედეგია თვით ტერმინი *ჯიხურიც*).

ანალოგიური დანიშნულება უჩანს ტოპონიმ *ზღუდერს* (გავიხსენოთ ამავე მიჯნის აღმნიშვნელი, *ზღ(უ)*- ძირის შემცველი აპელატივები: *ზღუდე*, *ზღურბლი*...); იგივე სემანტიკური ფუნქცია უჩანს *გალაფანს*, ანუ გარეკედელს, რომლითაც შემოზღუდულია ციხე-ქალაქი. ამ აპელატიური მნიშვნელობიდან *გალაფანმა* ოიკონიმიში გადაინაცვლა: დღეს იგი ქართლის კომონიმი, ანუ სოფლის სახელია. გავიხსენოთ, რომ ისტორიულად მოსკოვის ადრინდელი სახელიც სემანტიკურად „*გალაფანს*“ უკავშირდება (*Белокаменная*).

ანალოგიური სახელები სხვა ენებშიც ცნობილია და მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც ისინი ყველგან უხვად გვხვდება. ასეთი სახელია, მაგ., ინგლ. *castle*, რომელიც მრავალ შენაერთში იჩენს თავს (მაგ., ქალაქი *ნიუკასლი* რომელიც ამჟამად ფონეტიკურად უკვე გაცვეთილია, მიღებულია *New castle*-ისაგან). ასეთი სახელები მიმოფენილია მთელს მსოფლიოში, — იმის მიუხედავად, ეს სახელები საკუთარია თუ ნასესხები. კომპოზიტური ტოპონიმის მეორე კომპონენტის აპელატიური მნიშვნელობის თვალსაზრისით *ახალციხე* და *ახალქალაქი* სინონიმებია (თუმცა სხვადასხვა დროისა).

აქვე უნდა შევეხოთ მიჯნა-საზღვრებთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა სახელებს, როგორიცაა: *კიდე*, *ძვიდე*, *მხარე* (< მხარი), *კუთხე*, *ნაპირი* (< პირი)... ამ კონტექსტში გასახსენებელია *უკრაინის* სახელმწიფოს სახელი, რომლის აპელატიური მნიშვნელობაც, არც მეტი, არც ნაკლები, „*კიდეს*“ უკავშირდება: *окраина* > *Украина* (ალბათ სწორედ ამიტომ გვაქვს რუსულად სათანადო ლოკალური, -*ზე* თანდებულებანი კონსტრუქცია: *на Украине*).

სიტყვა *პირი* „*კიდისა*“ და „*განაპირა*“-ს მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული ობიექტების სახელებს დაერთვის: *წელის პირი*, *ტყის პირი*, *კლდის პირი*, *გზის პირი*, *ზღვის პირი* // *ზღვის ნაპირი*... ამ მნიშვნელობით ტოპონიმიში *კარიც* იხმარება.<sup>3</sup>

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ სინტაგმა *ზღვის კარად* აქ ნიშნავს: „ზღვის პირად, ნაპირას“; *კარ*-ს ტოპონიმებში *პირ*-ის ფუნქცია უჩანს და რა სიტყვასაც დაერთვის, იმით აღნიშნული დენოტატის დასაწყისს (სივრცეში) მიუთითებს. ინგლისურში მისი სემანტიკური შესატყვისია *mouth* (= „პირი“),

<sup>3</sup> იხ. გ. ტაბიძის ლექსიდან: „მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალეზა, თითქოს *ზღვის კარად* თივას თიბავდე“ (1956).

რომელიც მეორე კომპონენტად მონაწილეობს მრავალ ტოპონიმში, განსაკუთრებით — ქალაქთა სახელებში.

მაშასადამე, სიტყვა **კარ-**ს ერთგვარი მათრეინტირებელი როლი აქვს დაკისრებული, ტოპონიმიაში მას „**პირის**“ (= დასაწყისი) ფუნქცია უჩანს და მას საპირისპირო მეწყვილეც შეიძლება აღმოაჩნდეს. ეს მეწყვილე იქნება **ბოლო**. შდრ. რეალური სოფლების სახელები: **რუისპირი** და **რუისბოლო** (ქართლში). ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, დაუპირისპირდა **რუსთავი** (რომელმაც რამდენიმე დუბლეტი გაიჩინა).

თუ ამ სახის მათრეინტირებელი სახელი ერთვის არა დასახლებული პუნქტის, არამედ ქვეყნის ამა თუ იმ დიდი რეგიონის, წყლის სანაპირო ზოლის სახელწოდებას, დგება **თარგმნის** პრაქტიკული საკითხი. ყველა ენა ამ ამოცანის გადაჭრას თავისი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების მიხედვით აგვარებს. მაგ., რუსული ენა მიმართავს გარკვეულ ცირკუმფიქსებს (ანუ პრეფიქს-სუფიქსების სისტემას: **За - ъе, По - ъе, При - ъе**. მაგ.: **За-байкал-ье, За-карпат-ье, По-лес-ье, При-кам-ье...**).

ქართულმა ენამ ამ აფიქსებით გაფორმებული რუსული გეოგრაფიული სახელების მნიშვნელობის გადმოცემა წარმატებით მოახერხა ნათესაობითში დასმული ჰიდრონიმების მომდევნო **პირ-** ფუძეზე **-ეთ** სუფიქსის დართვით, ასე: **при - ъе:/ по - ъе: -პირეთი**, მაგალითად:

<b>Причерноморье</b> – <b>შავიზღვისპირეთი</b>	<b>Поволжье</b> – <b>ვოლგისპირეთი</b>
<b>Приднепровье</b> – <b>დნებრისპირეთი</b>	<b>Поочье</b> – <b>ოკისპირეთი</b>
<b>Приамурье</b> – <b>ამურისპირეთი</b>	<b>Пообье</b> – <b>ობისპირეთი</b>

ამავე რიგში ჩადგება იმავე პრეფიქსის, მაგრამ სხვა, **-იკა** სუფიქსის შემცველი გეოგრაფიული სახელი **Прибалтика** – **ბალტიისპირეთი**.

რაც შეეხება **за - ъе** კონფიქსიან ტოპონიმებს, ისინი **იმიერ-** ელემენტი და **-ეთ** სუფიქსით აწარმოებენ ქართულ ეკვივალენტებს:

<b>Забайкалье</b> – <b>იმიერბაიკალეთი</b>
<b>Закарпатье</b> – <b>იმიერკარპატეთი</b>
<b>Зауральское плато</b> – <b>იმიერურალის პლატო</b> და ა.შ.

საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს **Закавказье** და მისი ქართული შესატყვისი — **ამიერკავკასია**, რომლის პირველი ელემენტი **ამიერ-** ასახავს პოზიციას კავკასიონის სამხრეთით მცხოვრებისა, კერძოდ, ქართველისას, რომელმაც ეს ფორმა დიდი ხნის წინათ შეიმუშავა საკუთარი ორიენტაციის მიხედვით და დღესაც ტრადიციულად ინარჩუნებს მას.

რაც შეეხება თვით ქართველებს, კავკასიონის გადმოღმა მხარის მცხოვრებთ, ისინი საკუთარ სამშობლოს ლოკალური ორიენტაციის მიზნით და იმავე პრინციპით, რაც ზემოთ იყო აღწერილი, ასევე ორ ნაწილად ყოფენ უფრო მცირე მთა-ქედის — ლიხის მთის (სურამის ქედის) მიხედვით: დასავლეთი საქართველო — **იმერი** და აღმოსავლეთი საქართველო — **ამერი**. სავარაუდოა, რომ ამგვარი მიდგომა ოფიციალურ დედაქალაქურ პოზიციას უფრო ასახავდა, ვიდრე ხალხურს, დემოკრატიულ საწყისებზე განხორციელებულს). ამგვარი ვითომდა წმინდა **გეოგრაფიული** ნიშნით დაყოფა რეალურად **პოლიტიკური** ხასიათისა აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტერმინები **ამერ-იმე-**

რი საქართველოს კონტექსტში სათავეს იღებს ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პერიოდიდან [ოდიშელი 1993, 451]. საინტერესოა, რომ ეს საპირისპირო მაორიენტირებელი ტერმინები ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ უხტანესისათვის, X საუკუნის სომეხი ისტორიკოსისათვის, რომელიც იყენებდა სიტყვათშეხამება **ამერ-იმერს** აღმოსავლელ და დასავლელ ქართველთა გასამიჯნავად [ალექსიძე 2005, 271].

ამ კონტექსტში კვლავ **კავკასიას** რომ დავუბრუნდეთ, ცხადი უნდა იყოს, რომ **იმერკავკასია** სამშობლოში მცხოვრები ქართველობისათვის სხვა არაფერს შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა მხოლოდ **ჩრდილოეთ კავკასიას**, მაშინ როცა რუსეთის (და საბჭოთა) იმპერიისათვის ასათვლელი წერტილი ტრადიციულად დედაქალაქის (ძველისა თუ ახლის) წიაღშია. აკი თვით რუსეთშიც დამორბეულ, ტბებითა და მთებით გამიჯნულ ადგილებს ამავე **იმერ**-ით იხსენიებენ მოსკოვიდან ან პეტერბურგიდან (თუ ლენინგრადიდან), ე. ი. პოზიცია ისევ დედაქალაქური, ამჯერად საბჭოთა პოლიტიკური ელიტის თვალსაზრისის მიხედვითაა შემუშავებული.

იგივე პოზიცია ჩანს ევროპულ **ტრანსკავკასიაშიც (Transcaucasus)**. ასე რომ, ამგვარ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სათანადო ენებზე ხმარებას განსაზღვრავს მთქმელის კუთვნილი სივრცისეული (და პოლიტიკურად შეფერილი) პოზიცია.

იმისათვის, რომ ერთი და იმავე რეგიონის, კერძოდ, ჩვენთვის **ამერკავკასიად** ცნობილი რეგიონის სახელწოდებას ცვლილება არ განეცადა მთქმელის სივრცისეული პოზიციის მიხედვით, თითქმის შვიდი ათეული წლის წინათ (1943 წ.) დასავლეთში პროფ. კ. თუმანოვა სამეცნიერო ლიტერატურაში შეიტანა წინადადება ამ რეგიონის ერთმნიშვნელოვან სახელწოდებად **სამხრეთ კავკასიის** დამკვიდრების თაობაზე. კერძოდ, ავტორი წერს (მოგვყავს ქართული თარგმანი): „მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ხმელთაშუა ზღვის სამყაროს თვალთახედვით, გეოპოლიტიკურად უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: საქართველო მდებარეობს **ციზკავკასიაში** (ანუ კავკასიის აქეთ, სამხრეთით. შ.ა.); ტერმინი **ტრანსკავკასია** კი გაცილებით გვიან და ძალზე არაბუნებრივად, რუსეთის იმპერიის თვალსაზრისის მიხედვით შეიქმნა“.<sup>4</sup>

როგორც ჩანს, ეს მოსაზრება ამ ბოლო წლებში ჩვენშიც გაიზიარეს (გვულისხმობთ შესიტყვება **სამხრეთ კავკასიის** ტერმინად დამკვიდრების შესახებ ქართულ პრესაში თ. გამყრელიძის მიერ არაერთგზის გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს (გამყრელიძე 2006, 1).

<sup>4</sup> "It is important to bear in mind that, from the point of view of the Mediterranean World – Geopolitically the correct one –, Georgia lies in "Cis-Caucasia"; the term "Trans-caucasia" is due to the much later, and far less natural, point of view of the Russian Empire" [თუმანოვი 1943, იხ. Introductory remarks, no. 2, გვ.140].

### ლიტერატურა

- ალექსიძე 2005** — ზ. ალექსიძე, ჯავახეთი და გუგარეთი ძველ სომეხ ისტორიკოსთა გეოპოლიტიკურ ცნობიერებაში (უხტანესი): კრებ. *მრავალთავი*, 21, თბილისი, 2005.
- ბერძენიშვილი 1975** — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 1975.
- გამყრელიძე 2005** — თ. გამყრელიძე, ამიერკავკასია თუ სამხრეთ კავკასია? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 2-8 მაისი, №18 (3434).
- თუმანოვი 1943** — Prince Cyril Tumanoff. *Medieval Georgian Historical Literature (VII-XV centuries)*, *Traditio*, I. იხ. Introductory remarks, no. 2.
- კლიმოვი 1964** — Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, Наука, Москва, 1964.
- კუბჩინსკი 1970** — О. А. Купчинский, *Микротопонимия как источник исторической географии*: კრ. *Изучение географических названий*. Серия "Вопросы географии", 70, Москва, 1966.
- მუსხელიშვილი 1980** — დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1980.
- ოდიშელი 1993** — ჯ. ოდიშელი, ტერმინი **იმერეთი**, კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993.

#### წყაროები:

- ქც** — ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955; IV, თბილისი, 1973 (რედაქცია სიმონ ყაუხჩიშვილ-ლისა), საკუთარ სახელთა საძიებლები.
- სკვსოლ** — საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ. შ. აფრიდონიძე, თ. ზურაბიშვილი), თბილისი, ქსე, 1987.
- А. Д. Вейсман**, *Греческо-русский словарь*, С.-Петербург, 1899.

### SHUKIA APRIDONIDZE

#### The Terms Denoting Boundaries and the Elements of Space Orientations in Georgian Toponyms

#### Summary

Georgian place-names as well as geographical names elsewhere, often include appellatives of diverse semantics. The concept of boundaries is considered to be one of the most significant issues of historical geography.

The paper aims to reveal terms denoting boundaries, both natural (rivers &

mountains), and man-made (castles, fortresses, etc.). Some of such nouns are simply repeated in toponymic material (cixc, čixa...), whereas most toponyms show a great many derivatives (cixia, cixiata, nacixari, čixori, žixaiši, zγuderi...), and compound nouns (cixisziri, kvacixc, žixašqari...).

A large group of toponyms has preserved the semantics of space orientation expressed by appropriate adjectives, adverbs (gaγma – gamoγma, maržvena – marcxena), and even by deictic particles, as follows: **a-** – **i-** in **am(i)er** – **im(i)er**. These means have been successfully used in translated forms of such toponyms, especially, of names of mountains (e.g. Transcaucasus), and rivers (e.g. former Transjordan), that provide natural barriers. On these grounds the paper presents some recommendations for translation of such place-names.